



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კერკეტები

კერკეტები, ერთ-ერთი უძველესი ტომი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ადიღელებთან ერთად, ანტიკურ ხანაში სახლობდნენ შავიზღვისპირეთში, ეკავათ სანაპირო ზოლი დაახლ. დღევანდელი ნოვოროსიისკიდან ტუაფსემდე. კ-ს იხსენიებენ სტრაბონი, პლინიუსი, პტოლემეოსი და სხვ. კ-ის შესახებ ნათქვამია, რომ „ესაა სამართლიანი და კეთილი ხალხი, ზღვაოსნობაში დიდად დახელოვნებული, რომელთა სანაპიროზე არის ნავმისადგომები და სოფლები, სადაც მუშაკნი გასაყიდად საქონელს დაატარებენ“. კ-ის ქვეყანაში ანდრია პირველწოდებული ჯიქების ქვეყანაზე გავლით შევიდა. ჯიქებმა ქრისტეს მოციქულის ქადაგება არ შეისმინეს, მაგრამ კ-ში, ასევე მათ ჩრდილოეთით მცხოვრებ სინდებში, ანდრიამ წარმატებით იქადაგა ქრისტეს მცნებანი, რაც ამ რეგიონში ბერძულ-რომაული კულტურის დიდი გავლენით იყო განპირობებული. ეპიფანე კონსტანტინოპოლელი (IX ს.) სინდებს „ზემო სუგდებად“ მოიხსენიებს, ჩნდება საფუძველი, რომ სინდების ახლო მონათესავე კ. „ქვემო სუგდებად“, ე. ი. სინდების ნაწილად მივიჩნიოთ. კ-მა ახლანდ. ჩერქეზების ეთნოგენეზშიც მიიღეს მონაწილეობა, ამიტომ ხშირად მათ აიგივებენ ჩერქეზებთან. შავი ზღვის აღმ. სანაპიროზე მცხოვრები კ-ის ისტორიის ასპარეზიდან გაქრობა მთიდან ჩამოსულმა ჯიქებმა დააჩქარეს.

ლიტ.: გოილაძე ვ., ანდრია პირველწოდებულის მისიონერული მოღვაწეობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, თბ., 2015; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წგ. 1 – საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.